თვითმმართველი ქ. ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის

წ ე ს დ ე ბ ა

ნოტარიუსი მანანა ბარამია
ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. №1/50

ფოთი

GEORGIA NOTARY OF POTI MANANA BARAMIA
115 0744

საქართველო
სანოტარო აქტი

თვითმმართველი ქ. ფოთის არასამწარმოო (არაკომერციული) მესაკუთრეთა
პირი — არჩილ ხოროავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის

წ ე ს დ ე ბ ა

2008 წლის 7 ოქტომბერი

ნოტარიუსი მანანა ბარამია
ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. №1/50
რეესტრში რეგისტრაციის №1-6488

ორი ათას რვა წლის შვიდ ოქტომბერს ქ. ფოთის ნოტარიუსს, მანანა ბარამიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. №1/50-ში, მომმართა ქმედუნარიანმა და სრულწლოვანმა პირმა ბატონმა მისხელ გულაბაძემ, დაბ. 05.02.79 წელს ხობში, პირადი №42001003097, პირადობის მოწმობა №ა 0575946, გაც. ფოთის შსს მიერ 29.09.04 წელს, მცხ. ქ. ფოთი, საკაძის ქ. №3-ში, როგორც თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ.

მან წარმოადგინა თვითმმართველი ქ. ფოთის არასამწარმოო (არაკომერციული) მესაკუთრეთა პირის — არჩილ ხოროავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის წესდება და გამოხატა მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში.

მე შევამოწმე მისხელ გულაბაძის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ თანახმად თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2008 წლის 26 სექტემბრის განკარგულებისა №17/81 და თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2008 წლის 26, 29 სექტემბრის №17 ოქმისა ის არის თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ ენაზე და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

მე, ნოტარიუსმა მას წაუკითხე წესდება და განვუმარტე მისი შინაარსი, ავრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

აღნიშნული წესდება ორიგინალურ ძალას იძენს ფოთის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის მომენტიდან. მან მკაფიოდ განაცხადა, რომ წესდება ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.

11508744

დამტკიცებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს 2008 წლის 26 აგვისტოს
№ 19/74 განკარგულებით

თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლი (შემდგომში – სასწავლებელი) წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის №131 დადგენილების „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლების), მუზეუმებისა სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა შემოქმედებითი კოლექტივების განსაზღვრის წესის შესახებ" და თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს მიერ შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს რომელიც ახორციელებს სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე დაწყებით საფეხურზე.
2. სასწავლებელი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.
3. სასწავლებელს აქვს ბეჭედი, შტამპი თავისი დასახელების მითითებით, ანგარიში შესაბამის საბანკო დაწესებულებებში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
4. სკოლის იურიდიული მისამართია – ქ. ფოთი, გამსახურდიას ქ. №4; ათონელის ქ. № 6

მუხლი 2. სასწავლებლის მიზნები, ამოცანები

1. სასწავლებელის მიზნებია:

ა) მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, სამ საფეხურიანი სწავლება (დაწყებითი 1-მე-6 კლასის ჩათვლით; საბაზო საორიენტაციო მე-7-მე-9 კლასის ჩათვლით;

საშუალო საფეხური მე-10-მე-11-მე-12 კლასის ჩათვლით) სწავლების ხანგრძლივობა 12 წელი.

ბ) პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

2. სასწავლებელის ამოცანებია:

ა) აზიაროს მოსწავლეები ხელოვნების საფუძვლებს;

ბ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები;

გ) მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები;

დ) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე.

ე) გამოუმუშაოს მოსწავლეებს სამყაროს მხატვრული აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები, პრაქტიკული მხატვრული აქტივობების განვითარებით.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

1. სასწავლებელში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, სწავლების შინარსის და ხანგძლივობა, სწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების საფუძველზე.
2. სასწავლებელს მომდევნო -საფეხურის საგანმანათებლო პროგრამების განხორციელება და ახალი განყოფილებების გახსნა შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით, შესაბამისი პედაგოგიური კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში, წესდებაში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით.
3. სასწავლებელში სწავლის უფლებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეთა შვილები 6 წლის ასაკიდან; ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილები აღნიშნულ სასწავლებელშში მიიღებიან საერთო წესით.
4. ცალკეულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, დასაშვებია როგორც უფროსი, ასევე უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ჩარიცხვა შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
5. სასწავლებელში მისაღებ კონტიგენტს განსაზღვრავს დამკვეთი.
6. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებელში სწავლის მსურველთა რაოდენობა აღემატება მისაღებ კონტიგენტს, სასწავლებელში ტარდება შესარჩევი კონკურსი შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
7 სასწავლებელს უფლება აქვს განახორციელოს ფასიანი მომსახურება ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის (სწავლების შესაბამისი პროგრამებით).

8. სასწავლებელში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს:
ა) დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
ბ) კონკურსის შემთხვევაში – მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
9. შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა და ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება შინაგანაწესით.
10. სასწავლებელში სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი ფორმებია: ინდივიდუალური, ჯგუფური გაკვეთილი და კლასგარეშე მუშაობა.
11. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე – გაკვეთილზე გამოკითხვა და პერიოდული – საკონტროლო გაკვეთილები, ჩათვლები და გამოცდები.
12. სასწავლებლის დამთავრებისას სასწავლებლის მიერ ყველა საფეხურის სწავლების შემდეგ გაიცემა შესაბამისი საფეხურის დასრულების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 4. სასწავლებლის სტრუქტურა და მართვა

1. სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულებია ძირითადი-სასწავლო (განყოფილებები) და დამხმარე – სასწავლო სტრუქტურული ერთეულები.
2. სასწავლებელს მართავს ადმინისტრაცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი) და პედაგოგიური საბჭო.
3. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის სასწავლებლის ყველა პედაგოგი.
4. პედაგოგიური საბჭოს ხელმძღვანელობს სასწავლებლის დირექტორი.
5. პედაგოგიური საბჭო:
ა) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;
ბ) ადგენს პედაგოგიური საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;
გ) განიხილავს დირექტორის მიერ შემუშავებულ სასწავლო წლიურ სამუშაო გეგმას;
დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე შეიმუშავებს სასწავლო გეგმებს;
ე) ისმენს დირექტორის, დირექტორის მოადგილის, შეასბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სხვათა ანგარიშს (ინფორმაციას) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;
ვ) იხილავს სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და სასწავლო – შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.
6. პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, დამსწრეთა ვინაობა, მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და საბჭოს მდივანი.
7. სასწავლებლის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი.
8. სასწავლებლის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი აკადემიური სახელოვნებო განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს პედაგოგიური

და შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, ორგანიზაციული საკითხების უნარ-ჩვევები და არ მიუღწევია 65 წლის ასაკისათვის.

9. **სასწავლებლის დირექტორი:**

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს სასწავლებლის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სასწავლებლის საშტატო განრიგს და თანამდებობრივ სარგოებს;

გ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სასწავლებელს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

დ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს სასწავლებლის ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სასწავლებლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს სასწავლებლის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს სასწავლებლის თანამშრომლებსა და საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ვ) იღებებს გადაწყვეტილებებს სასწავლებლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ; განსაზღვრავს პედაგოგთა დატვირთვის და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტებს, წყვეტს მოსწავლეების სასწავლებელში ჩარიცხვისა და გარიცხვის საკითხს;

თ) პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით – ადგენს მისაღები კონტიგენტის პროექტს, შეიმუშავებს და ამტკიცებს სასწავლებლის შინაგანაწესს, წლიურ ანგარიშს საფინანსო საქმიანობისა და სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

ი) ამტკიცებს სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმებს, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

კ) თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წარუდგენს დასამტკიცებლად სასწავლებლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს, რომელსაც წინასწარ ათანხმებს პედაგოგიურ საბჭოსთან;

ლ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები;

10. **დირექტორის მოადგილე:**

ა) პასუხისმგებელია სასწავლო-შემოქმედებით პროცესებზე;

ბ) დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

მუხლი 5. სასწავლებლის პედაგოგი, სასწავლო-დამხმარე პერსონალი

1. სასწავლებლის პედაგოგად მუშაობის უფლება აქვს შესაბამისი სახელოვნებო განათლების მქონე პირს; იგი უნდა ეწეოდეს საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად.
2. სასწავლებლის სასწავლო-დამხმარე პერსონალს წარმოადგენს სასწავლებლის საშტატო განრიგით განსაზღვრული სხვა მუშაკები.

3. სასწავლებლის პედაგოგებს და სასწავლო-დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 6. საწავლებლის ქონება და საფინანსო - სამეურნეო საქმიანობა

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სასწავლებელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გადაეცემა უძრავი ქონება უსასყიდლოდ უზუფრუქტის, ხოლო მოძრავი ქონება თხოვების ფორმით, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ დებულებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სასწავლებლის დაფინანსების წყაროებია:
   ა) შესაბამისი (ადგილობრივი) ბიუჯეტიდან გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნება, ადგილობრივი სუბსიდიები;
   ბ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;
   გ) დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
   დ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
   ე) საქალაქო გამოფენებიდან მიღებული შემოსავლები;
   ვ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
   ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემოსავლები მთლიანად ხმარდება სასწავლებლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და საწავლებლის განვითარებას.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

1. სასწავლებლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე /მიხეილ გუდავაძე/

21613814 3
115086744